ძირითადი საკითხები
2022 წლის ხსოვნის დღის კონფერენციისათვის

სიცოცხლის ხის ჭამა, ანუ ქრისტეთი
როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით ტკბობა,
უნდა იყოს უპირველესი საქმე ეკლესიურ ცხოვრებაში.

ორი ხე დაბ. 2:9-ში – სიცოცხლის ხე და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე –
წარმოადგენს ცხოვრების ორ პრინციპს:
სიცოცხლის პრინციპს და სწორისა და არასწორის პრინციპს.

უფლის აღდგენა არის იმის აღდგენა,
რომ გვიყვარდეს უფალი იესო პირველი სიყვარულით, საუკეთესო სიყვარულით,
და ვჭამოთ უფალი იესო როგორც სიცოცხლის ხე
ქრისტეს ორგანული სხეულის ასაშენებლად,
ანუ ახალი იერუსალიმის როგორც
ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის მიზნის ასაშენებლად.

როგორც ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის კვლავწარმოქმნას,
ჩვენ, მორწმუნეებს ქრისტეში და ღმერთის შვილებს,
არა მარტო გვაქვს მარადიული სიცოცხლე და შეგვიძლია განვიცადოთ ის,
არამედ ჩვენ ასევე შეგვიძლია, მივუტანოთ ეს სიცოცხლე
ქრისტეს სხეულის სხვა ასოებს.

© Living Stream Ministry, 2022

შესავალი:
ვიაროთ ქრისტეთი, როგორც სიცოცხლის ხით, ტკბობის გზით

ძმა ლის მნიშვნელოვანი ურთიერთობა

„სიცოცხლის ხე არის წინასახე ქრისტესი, რომელიც ნერგავს ადამიანში სიცოცხლეს და ანიჭებს მას სიამოვნებასა და კმაყოფილებას“ – „დაბადების სიცოცხლის შესწავლა“, ტ. 1, გვ. 171.

ერთადერთი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, – არის დავტკბეთ უფლით როგორც სიცოცხლის ხით“ – „სიცოცხლის ხე“, გვ. 29.

1943 წლის მაისში... მე ავად გავხდი ტუბერკულიოზის მძიმე ფორმით.... ამ ორწელიწადნახევრის განმავლობაში, როდესაც მე ავად ვიყავი, მე დავინახე სიცოცხლის ხე. ორწელიწადნახევრის განმავლობაში მე დავინახე რომ უფლისმიერ აღდგენაში მის სამუშაოში ჩვენ არ გვყოფნიდა სიცოცხლე. ნებისმიერი პრობლემა, როგორიც არ უნდა იყოს, წარმოიქმნება სიცოცხლის უკმარისობის შედეგად. როდესაც მე ეს დავინახე, მე უზომოდ ვნანობდი, მე ბევრს ვაღიარებდი და საფუძვლიანად ვინანიებდი უფლის წინაშე, და ასევე მე განვიცდიდი მუშაობას მრავალ საკითხზე უფლის წინაშე... შეტყობინებებმა სიცოცხლის ხეზე გადაარჩინეს მრავალი წმიდანი, და ასევე გამოანთავისუფლეს მრავალი ძმა და და ნანკინში. ოთხწლიანი ჯანყის გამო ეკლესიაში შანხაიში წმიდანები რამდენიმე წლის განმავლობაში იყვნენ იმედგაცრუებულნი და დათრგუნულნი და ვერაფერს ვერ აკეთებდნენ. ამ შეტყობინებებმა გამოათავისუფლა მათი სული და გააბრწყინა მათი გული... მე მადლიერი ვარ უფლისა, რომ სიცოცხლის ხეზე ამ შეტყობინებების შედეგად ეკლესია შანხაიში განიკურნა... შეტყობინებებმა სიცოცხლის ხეზე ჩაუყარეს საფუძველი გამოცოცხლებას ეკლესიაში შანხაიში... „უფლის აღდგენის გამოცხადება და ისტორია“, ტ. 1.

„ვჭამოთ სიცოცხლის ხე, ანუ დავტკბეთ ქრისტეთი როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით, – უნდა გახდეს უპირველესი საქმე ეკლესიურ ცხოვრებაში“ – გამოცხ. 2:7, შენ 6, აბზ. 4.

დამღუპველი მდგომარეობა უზნეო ადამიანებისა ხასიათდება იმით, რომ ისინი არ მიდიან უფალთან, რათა ჭამონ ის და დატკბნენ მისით... ისინი აკეთებენ მრავალ რამეს, მაგრამ არ მიდიან, რათა შეეხონ უფალს, მიიღონ ის, მიიღონ ის თავის თავში, იგემონ ის და დატკბნენ მისით. ღმერთის თვალში არ არის არაფერი უფრო დამღუპველი, ვიდრე ეს“ – ეს. 57:20, შენ, 1.

ღმერთის განზრახვა ადამიანთან დაკავშირებით იყო ის, რომ მიეცა ადამიანისათვის თავისი თავი როგორც სიცოცხლის ხე მისი ტკბობისათვის. „დავინახოთ, ღმერთის სურვილი, რომ ჩვენ დავტკბეთ მისით, და რომ მას არ უნდა, რაღაც გავაკეთოთ მისთვის, ნიშნავს დავინახოთ, რომ ქრისტიანული ცხოვრება დაკავშირებულია ტკბობასთან... თუ ჩვენი შეხედულება შეიცვლება, და ჩვენ დავინახავთ ამ ორ მომენტს, ჩვენთვის ადვილი იქნება დავტკბეთ ღმერთით“ – „სიცოცხლის ხისა და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ხედვა“.

თუ ჩვენ გვინდა, ვიაროთ ღმერთით ტკბობის გზით, ჩვენი წარმოდგენები უნდა შეიცვალოს... თუ ჩვენ გვინდა, შევიდეთ ღმერთით ტკბობის სინამდვილეში, ჩვენ უნდა დავინახოთ მმართველი ხედვა... უფალმა მაჩვენა მე მისით ტკბობის გზა, მხოლოდ მაშინ როდესაც მე შემისრულდა ორმოცი წელი. მე ძალიან გავბრაზდი იმის გამო, რომ ჩემი დროისა და ენერგიის დიდი ნაწილი ოცი წლის განმავლობაში მე გავატარე ამაოდ. ჩემი ლოცვების უდიდეს ნაწილს არ ჰქონდა ფასეულობა, და დრო, რომელიც მე დავხარჯე ბიბლიისა და სხვა სულიერი წიგნების კითხვაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს ფასეულად. სწორედ მაშინ მე გავაცნობიერე, რომ ჩვენს სამუშაოსა და ჩვენს სულიერ სწრაფვაში ჩვენ მივდივართ არასწორი გზით... იმის გამო, რომ მე მივდიოდი ამ არასწორი გზით, მე მრავალი რამ დავკარგე, ამიტომ მე არ მინდა, რომ სხვებმა გაიმეორონ იგივე შეცდომა. მე ვიმედოვნებ, რომ სხვები შეძლებენ იარონ ღმერთით ტკბობის გზით. მე ვემუდარები წმიდანებს, აღარ იარონ არასწორი გზით. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ ჩვენი სწრაფვის ადრინდელ გზაზე. ჩვენ რადიკალურად უნდა შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენები. ჩვენ უნდა მივიღოთ მმართველი ხედვა“ – „სიცოცხლის ხისა და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ხედვა“.

© Living Stream Ministry, 2022

შეტყობინებების გეგმები
ხსოვნის დღის კონფერენციისათვის
მაისი 27-30, 2022

საერთო თემა:

ვიაროთ ქრისტეთი, როგორც სიცოცხლის ხით, ტკბობის გზით

შეტყობინება პირველი

ვიაროთ ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით ტკბობის გზით
ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის აღსასრულებლად

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:7-9; გამოცხ. 2:7; 22:14; იოანე 1:4; 14:6ა; 10:10ბ 6:35, 57, 63

I. დაბადების წიგნის მე-2 თავში ჩვენ ვხედავთ ორ არჩევანს ადამიანისათვის: სიცოცხლის ხეს და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს – მუხ. 7-9:

ა. ორი ხე გვიჩვენებს, რომ ამ სამყაროში არის ორი ნება, ორი სათავე და ორი შესაძლებლობა, რომლებიდანაც ადამიანს შეუძლია ამოირჩიოს თავისი თავისუფალი ნებით – შდრ. 30:19-20.

ბ. სიცოცხლის ხე აღნიშნავს ქრისტეს, სამერთიანი ღმერთის განსხეულებას, როგორც სიცოცხლეს ადამიანებისათვის საკვების სახით, განკუთვნილს იმისათვის, რომ ადამიანი დატკბეს მისით და შედგეს მისით მისი დიდებისათვის, მისი ერთობლივი გამოხატულებისათვის, და ამის მეშვეობით შეასრულოს ღმერთის თავდაპირველი განზრახვა თანახმად მისი მარადიული სახლმშენებლობისა – დაბ. 1:26; ესაია 43:7; დაბ. 2:9; გამოცხ. 2:7; 22:14; იოანე 1:4; 14:6ა; 10:10ბ; 6:35, 57, 63; გამოცხ. 21:10-11; შდრ. 4:3:

1. სიცოცხლის ხე, ღმერთის ხე, ღმერთი ხე, არის სამყაროს ცენტრი.
2. ძველი აღთქმა იწყება სიცოცხლის ხით (დაბ. 2:9), ხოლო ახალი აღთქმა სრულდება სიცოცხლის ხით (გამოცხ. 22:2, 14); ამგვარად, აზრი იმის შესახებ, რომ ღმერთი არის ადამიანის სიცოცხლე, მიყვება მთელ ღვთაებრივ გამოცხადებას.
3. ის, რომ ღმერთმა მოათავსა ადამიანი სიცოცხლის ხის წინ, გვიჩვენებს, რომ ღმერთს უნდოდა, რომ ადამიანს მიეღო ის როგორც სიცოცხლის ხე, ორგანულად ეჭამა ის და მეტაბოლურად შეეთვისებინა ის, იმ მიზნით, რომ ღმერთი გამხდარიყო თვითონ ელემენტი მისი არსებისა – იოანე 6:57, 63; იერ. 15:16; მათე 4:4.

გ. კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე აღნიშნავს სატანას როგორც სიკვდილის სათავეს ადამიანისათვის – ებრ. 2:14:

1. ის ასევე აღნიშნავს ყველაფერს, რაც არ არის ღმერთი, რადგან ყველაფერი, რაც არ არის თვითონ ღმერთი, მათ შორის რაღაც კარგი და რაღაც ბიბლიაზე დაფუძნებულიც და რაღაც რელიგიურიც, – ეს ყველაფერი შეუძლია გამოიყენოს სატანამ, მაცდურმა, რათა მოუტანოს ადამიანს სიკვდილი – იოანე 5:39-40; 2 კორ. 3:6ბ.

© Living Stream Ministry, 2022

2. სიკეთე და ბოროტება აღნიშნულია არა ორი ხით, არამედ ერთი ხით – მეორე ხით; აქედან გამომდინარე, სიკეთის ძებნა ღმერთის გარდა დაკავშირებულია სატანასთან.
3. ნამდვილი ხე არის თვითონ ღმერთი, ამიტომ ღმერთის მოპოვება არის იგივე, რაც ნამდვილი სიკეთის მოპოვება – მათე 19:17ა; მარკ. 10:17-18; ფსალ. 16:2.

დ. სიცოცხლის ხე ხდის ადამიანს ღმერთზე დამოკიდებულს (იოანე 15:5), ხოლო სიცოცხლის შეცნობის ხე აღძრავს ადამიანს, რომ ის ჯანყობდეს ღმერთის წინააღმდეგ და იყოს დამოუკიდებელი მისგან (შდრ. დაბ. 3:5):
1. ჭამა მიუთითებს დამოკიდებულებაზე; ის, რომ ღმერთი არის ჩვენი საკვები, რომელსაც აღნიშნავს სიცოცხლის ხე, ნიშნავს, რომ ჩვენ მუდმივად დამოკიდებული უნდა ვიყოთ ღმერთზე.
2. შეცნობის ხე მიუთითებს დამოუკიდებლობაზე; ღმერთის თვალში ადამიანის პირველი და ყველაზე დიდი ცოდვა არის დამოუკიდებლობა.

ე. ორი ხე წარმოქმნის ორ ხაზს, ორ გზას – სიცოცხლის გზასა და სიკვდილის გზას, რომლებიც მიჰყვებიან მთელ ბიბლიას და მთავრდებიან გამოცხადების წიგნში:
1. სიკვდილი იწყება შემეცნების ხიდან (დაბ. 2:17) და მთავრდება ცეცხლის ტბით (გამოცხ. 20:10, 14).
2. სიცოცხლე იწყება სიცოცხლის ხით და მთავრდება ახალი იერუსალიმით, სიცოცხლის წყლის ქალაქით – 22:1-2.

II. ჩვენ უნდა დავრჩეთ სიცოცხლის გზაზე, სიცოცხლის ხაზზე, სიცოცხლის შენარჩუნების მდგომარეობაში, დავტკბეთ ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით ღმერთის ნაგებობისათვის სიცოცხლეში ჩვენი ზრდის მეშვეობით სიცოცხლეში – იოანე 10:10ბ; გამოცხ. 22:1-2; ეფეს. 4:16; 2:21-22; კოლ. 2:19:

ა. ჩვენ ვრჩებით სიცოცხლის გზაზე, ვცხოვრობთ და ვმსახურობთ სიცოცხლის პრინციპის თანახმად, და არა სწორისა და არასწორის პრინციპის თანახმად:
1. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ თანახმად სიცოცხლის შინაგანი გრძნობისა ჩვენს სულში, სიცოცხლის წინამძღოლობის, და არა თანახმად სწორისა და არასწორისა – რომ. 8:6; 2 კორ. 2:13.
2. სტანდარტი ქრისტიანული ცხოვრებისათვის არის ჩვენში მცხოვრები ქრისტეს თანდასწრება, მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რა არის სწორი და რა არის არასწორი, – მნიშვნელოვანია ის, ეთანხმება თუ არა ღვთაებრივი სიცოცხლე ჩვენში ამა თუ იმ საკითხს – მათე 17:3, 5, 8; შდრ. მალ. 2:15-16.

ბ. ჩვენ ვრჩებით სიცოცხლის გზაზე, გვიყვარს უფალი უმაღლეს დონეზე და ამის მეშვეობით ვიზიდავთ სხვებს, რათა ისინი გაეკიდონ მას – მარკ. 12:30; ქებ. ქ. 1:4ა:
1. იმისათვის, რომ დავტკბეთ ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით, ჩვენ მუდმივად უნდა ვუთხრათ მას: „უფალო იესო, მე მიყვარხარ შენ“; თუ ჩვენ გვექნება მგზნებარე სიყვარული უფალ იესოს მიმართ, მივცემთ მას პირველ ადგილს ყველაფერში, ჩვენ დავტკბებით ყველაფრით, რასაც ის წარმოადგენს – გამოცხ. 2:4-5, 7.

© Living Stream Ministry, 2022

2. იმისათვის, რომ დავტკბეთ ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით, ჩვენ უნდა დავნიშნოთ ადამიანები მასზე, მივიყვანოთ ისინი იმასთან, რომ ისინი ნამდვილად იყვნენ აღტაცებულნი უფალ იესოს ძვირფასი პიროვნებით, უყვარდეთ ეს ძვირფასი პიროვნება და დატკბნენ მისით – 2 კორ. 11:2-3.

გ. ჩვენ ვრჩებით სიცოცხლის გზაზე, ვჭამთ იესოს სიტყვას ლოცვა-კითხვით, ვფიქრობთ სიტყვაზე და ვარიგებთ სიტყვას როგორც სულს სხვებში ჩვენი რწმენის სულის ვარჯიშის მეშვეობით – იოანე 6:57, 63; იერ. 15:16; ფსალ. 119:15; მათე 4:4; 24:45; 1 კორ. 2:4-5, 13;

1. ჩვენ უნდა დავტკბეთ მისით სიტყვაში დილით ადრე, რათა გვქონდეს ახალი დასაწყისი ყოველ დღე, და ჩვენ უნდა მივიღოთ მისი სიტვა ხანგრძლი და ყურადღებიანი მსჯელობით – ფსალ. 119:15, 147-148; შდრ. ლევ. 11:3.
2. ჩვენ ყოველდღიურად უნდა ველაპარაკოთ ქრისტე სხვადასხვა ადამიანებს დროულად და უდროოდ (საქმე. 5:42; 8:4; 2 ტიმ. 4:2) და სასოწარკვეთით ვესწრაფოთ, რომ გამოვიმუშაოთ ჩვევა, ვილაპარაკოთ ნებისმიერ შეკრებაზე (1 კორ. 14:26, 4-5, 12, 31).

დ. ჩვენ ვრჩებით სიცოცხლის გზაზე, ვტკბებით სამერთიანი ღმერთით როგორც სიცოცხლის სულის კანონით მის ღვთაებრივ შესაძლებლობასთან ერთად – რომ. 8:2; იერ. 32:39:

1. ორი ხის მაგალითზე ედემის ბაღში ჩვენ ვხედავთ სიცოცხლეს, სიკეთესა და ბოროტებას; ჩვენ ვართ მინიატურული ედემის ბაღი სიცოცხლის სულის კანონით ჩვენს სულში, სიკეთის კანონით ჩვენს ბუნებრივ, დამოუკიდებელ გონებაში და ბოროტების კანონით ჩვენს ხორცში – რომ. 7:23; 8:2, 16.
2. ჩვენ უნდა „ჩავრთოთ“ სიცოცხლის სულის კანონი, ვიაროთ სულის თანახმად და მივმართოთ ჩვენი გონება სულისაკენ, სამერთიანი ღმერთის როგორც სიცოცხლის დასარიგებლად ჩვენს სამნაწილოვან არსებაში – მუხ. 2, 4, 6, 10-11.

ე. ჩვენ ვრჩებით სიცოცხლის გზაზე, ვცხოვრობთ აღდგომაში, ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის სინამდვილეში, რომელზეც მიუთითებს ოქროს სასანთლე როგორც აღდგომის სიცოცხლის ხე; ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს ღმერთის დიდება ღმერთის როგორც სიცოცხლის ქალაქის, ახალი იერუსალიმის, გამოხატულებისათვის – ეფეს. 1:22-23; გამ. 25:31-40; გამოცხ. 1:11-12; 21:10-11.

III. ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ გამარჯვებულები, არის ის, რომ ვჭამოთ ქრისტე როგორც სიცოცხლის ხე და დავტკბეთ ასეთი ქრისტეთი, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ გარდავისახოთ სიცოცხლეში და გავხდეთ ძე ვაჟი ქრისტეს გამარჯვების გამოსავლენად და იმისათვის, რომ ჩვენ გვახდეთ პატარძალი ქრისტეს დასაკმაყოფილებლად – 2:7, 17; 3:20-21; 12:5-12; 19:7-9; 22:2, 14.

© Living Stream Ministry, 2022